საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - სს „*********“

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ადვოკატი თ. ფ. /სიითი №/; ადვოკატი ა. ა. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.06.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 049/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. მ. -ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2020 წლის 19 ივნისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა სს „*********“-მა და მოითხოვა ადვოკატ ს. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. მ. 2010 წლის სექტემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე დასაქმებული იყო სს „*********“ იურიდიულ სამსახურში იურისტის პოზიციაზე. მის ფუნქციებში შედიოდა სს „*********“ ინტერესების დაცვა შრომით დავებშიც. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ადვოკატი ს. მ. აქტიურად მონაწილეობს სს „*********“ წინააღმდეგ ყოფილი დასაქმებული პირების მიერ აღძრულ საქმეებში და ახორციელებს მოსარჩელეთა წარმომადგენლობას სასამართლოში მოპასუხის - სს „*********“ მიმართ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. მ. სარგებლობს და იყენებს სს „*********“ - ში დასაქმების პერიოდში მისთვის ცნობილ კონფიდენციალურ ინფორმაციას კომპანიის ინტერესების საზიანოდ. ასევე, ადვოკატის საქმიანობა წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. ადვოკატს ხელი მიუწვდება კომპანიის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რომელთაც შრომით დავებში აქვს არსებითი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციის გაცნობა ყველას შეუძლია (შესაძლებელია სასამართლოს გზით გამოთხოვა), რომ არა ადვოკატის მიერ ამ კომპანიაში იურისტად მუშაობის გამოცდილება, მას ვერ ეცოდინებოდა ზოგიერთი დოკუმენტის არსებობაც კი. მან იცის კომპანიის „შიდა სამზარეულო“, სუსტი წერტილები და ცდილობს ეს გამოიყენოს კომპანიის წინააღმდეგ და თავისი კლიენტის სასარგებლოდ. ამასთან, საშტატო განრიგის და თანამშრომელთა ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გზით.

1.4 ს. მ. ამჟამად წარმოადგენს სს „*********“ მოქმედი თანამშრომლის - თ. გ.-ის ინტერესებს შრომით დავაში საქმეზე N, (ამ საქმეში თ. გ. ითხოვდა დანამატის გაცემას, შემდეგ დააზუსტა სარჩელი და ითხოვდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ანაზღაურებას, ამჟამად ის ითხოვს ხელფასებს შორის სხვაობას - მას აქვს იგივე ანაზღაურება რაც იყო გათვალისწინებული გათავისუფლების დროს იმ შტატისთვის და არა ის ანაზღაურება, რომელიც აღდგენის დროს ეძლეოდა იმ შტატზე დასაქმებულ პირს, აგრეთვე ითხოვს ინდივიდუალურ მასტიმულირებელ დანამატს-ყოველთვიურ პრემიას და ითხოვს საიუბილეო დანამატებს - შეუსრულდა მუშაობის 20 წელი და გახდა 60 წლის) მაშინ, როდესაც 2016 წელს თ. გ.-ის პირველ საქმეზე, სადაც ის ითხოვდა სახელფასო დანამატის გაცემას (საქმე N), წარმოადგენდა სს „*********“ ინტერესებს, რომლის ფარგლებშიც ს. მ.-მ წარადგინა შესაგებელი. თ. გ.-ის 2016 წლის დავა არ დასრულებულა, ამჟამად საქმე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია.

1.5 ს. მ. სს „*********“ წინააღმდეგ აღძრულ შრომით დავაში, სადაც მოსარჩელეა ლ. რ. (საქმე N, დავის საგანი - ბრძანებების გაუქმება, განაცდურის ანაზღაურება, სამსახურში აღდგენა), მოსარჩელის წარმომადგენელია სააპელაციო სასამართლოში კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ საქმეში მათ წარადგინეს საშტატო განრიგის (სადაც მითითებული იყო თანამშრომელთა პოზიციები ანაზღაურებებთან ერთად) შესახებ ინფორმაცია, რომელიც ს. მ.-მ გამოიყენა თ. გ.-ის საქმეში, დაზუსტებული სარჩელის წარდგენისას, 2020 წლის 31 მარტს და გარდა ინდივიდუალური მასტიმულირებელი დანამატისა, თ. გ.-მ მოითხოვა ხელფასებს შორის სხვაობაც.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ თ. გ.-ს სს „*********“ დავა ჰქონდა 2013 წელს, როდესაც ითხოვდა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, ასევე სამსახურში აღდგენას და ამ საქმეშიც „*********“ ინტერესს წარმოადგენდა ადვოკატი ს. მ. .

1.7 სასამართლომ არ დააკმაყოფილა სს „*********“ დაყენებული შუამდგომლობა საქმისგან ს. მ.-ის აცილების შესახებ მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ იყო იმ შინაარსის ნორმა, რომელიც ამ შემთხვევაში ადვოკატის აცილების საფუძველი გახდებოდა და მიუთითათ, რომ ეს იყო ეთიკის კომისიის განსახილველი საკითხი.

1.8 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატ ს. მ.-ს არ ჰქონდა უფლება ერთი კლიენტის საქმეში წარდგენილი ინფორმაცია გამოეყენებინა მეორე კლიენტის საქმეში.

1.9 საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ს. მ.-ის ორივე მოწმე არის დაინტერესებული პირი და ჩვენებას მისცემენ ს. მ.-ისსასარგებლოდ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ს. მ.-ისმოწმის, თ. გ.-ის განმარტება არ შეესაბამება სინამდვილეს, როდესაც ის განმარტავს, რომ ინფორმაცია საშტატო ნუსხის შესახებ თავად მოიპოვა სს „*********“ - ში, სხვა წყაროსგან; ასევე, მოწმე არასწორ ინფორმაციას აწვდის კოლეგიას იმის შესახებ, რომ მათი მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი - საშტატო ნუსხა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. მ.-მ 2020 წლის 17 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, ასევე, ადვოკატმა საპროცესო კოლეგიისა და განხილვის კოლეგიის სხდომებზე მიუთითა, რომ მას აქვს პირადი მიმდინარე დავა სს „*********“-დან უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურში აღდგენა, საჩივრის მიზანია მისი სამსახურში აღდგენის შეფერხება და საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ სს „*********“-მა მოითხოვა მისი აცილება სასამართლო დავებიდან, სადაც ის წარმოადგენდა კლიენტთა ინტერესებს სს „*********“-ის მიმართ. სასამართლომ სს „*********“-ის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან არ არსებობდა მისი საქმიდან აცილების საფუძველი - საქმეები, რომლებშიც ადვოკატი მონაწილეობდა, იყო სხვადასხვა. ადვოკატი განმარტავს, რომ თავად საჩივრის ავტორი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქმე, რომელშიც ის *********“ - ში დასაქმების დროს მონაწილეობდა და საქმე რომელშიც ამჟამად მონაწილეობს სხვადასხვაა.

2.3 ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ის ამჟამად ჩართულია სხვა დავაში, სადაც მოსარჩელეა თ. გ., მოპასუხე სს „*********“, დავის საგანი, საფუძველი და მოთხოვნები განსხვავდება იმ საქმისგან, სადაც მან როგორც სს-ის იურისტმა წარადგინა შესაგებელი.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს მისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის ფაქტს, რომელიც შემდეგ მან გამოიყენა კომპანიის საზიანოდ. ადვოკატი განმარტავს, რომ ის სამსახურიდან გაათავისუფლეს 2017 წლის ნოემბერში. საშტატო განრიგის შესახებ ინფორმაცია სასამართლოში წარადგინა თავად სს-მა თ. გ.-ის საქმეზე, ეს ინფორმაცია თარიღდება 2020 მარტის თვით, რაზეც მას წვდომა ვერ ექნებოდა. რაც შეეხება ინფორმაციის გამოყენებას ლ. რ.-ის საქმეზე, ადვოკატი განმარტავს, რომ თ. გ. და ლ. რ. წლებია რაც ერთმანეთს იცნობენ და აქვთ კარგი ურთიერთობა, შესაბამისად შესაძლოა თავად მიაწოდეს ერთმანეთს საჭირო ინფორმაცია. კონკრეტული მტკიცებულების გამოსათხოვად მან შუამდგომლობა დააყენა სასამართლოში.

2.5 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა მოწმის სახით მისი კლიენტების - ლ. რ.-ისა და თ. გ.-ის გამოკითხვის შესახებ. ამავე სხდომაზე არ დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა მოწმის სახით ს. კ. -სა და კ. გ.-

ს გამოკითხვის შესახებ, რადგან ს. კ. წარმოადგენს სს „*********“ - ის დირექტორს და ის საქმეში ჩართულია საჩივრის ავტორის სტატუსით; ხოლო კ. გ.-მა საპროცესო წესით განიხილა აღნიშნული საქმე და კომისიის წევრი მოწმის სახით ვერ გამოიკითხება მის მიერ განხილულ საქმეში.

3. ადვოკატის მოწმის, კლიენტის ლ. რ.-ის განმარტება:

3.1 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე ადვოკატის კლიენტმა ლ. რ.-მა განმარტა, რომ სს „*********“ - ში მუშაობს 2000 წლიდან. ის კომპანიამ გაათავისუფლა 2016 წლის მარტში. გათავისუფლების მიზეზს წარმოადგენდა ტექნოლოგიური პირობების ან/და საშტატო ერთეულების შემცირების აუცილებლობა. დამსაქმებელთან დავაში მას თავდაპირველად ყავდა სხვა წარმომადგენლები, ხოლო საქმის განხილვის სააპელაციო ეტაპზე დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ ს. მ.-ს. ადვოკატ ს. მ.-ს სს „*********“-ში მუშაობის პერიოდში არ იცნობდა, მასთან მივიდა მას შემდეგ, რაც ურჩიეს, როგორც შრომითი სამართლის კვალიფიციური ადვოკატი. ს. მ.-ისარჩევის საფუძველი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ მანამდე ს. მ. მუშაობდა სს „*********“ - ში. მისი მიმართვის დროისათვის ადვოკატი ს. მ. დაახლოებით 2-3 წლის წამოსული იყო სს „*********“-დან. სასამართლომ მისი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა - ბათილად ცნო სს „*********“-ის ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ და დაერიცხა კომპენსაციაც.

3.2 მოწმის განმარტებით, ის პირადად წერდა განცხადებებს, შუამდგომლობებს და დოკუმენტაციაც მის საფოსტო მისამართზე მიდიოდა. მან სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვა თანამდებობრივი სარგოსა და საშტატო ნუსხის შესახებ დოკუმენტაცია. მოწმე განმარტავს, რომ ის სასამართლოში დასაყენებელ შუამდგომლობებს ათანხმებდა თავის ადვოკატთან.

3.3 მოწმე განმარტავს, რომ ის იცნობს სს „*********“-ში დასაქმებულ თ. გ.-ს, რომელიც არის სს „*********“-ის ძველი თანამშრომელი და მასთან აქვს ჩვეულებრივი სამსახურებრივი, ნორმალური ურთიერთობა. მოწმის განმარტებით, მას ზოგადად აინტერესებდა შრომის დავები და ესწრებოდა ხოლმე მათ. მათ შორის, ის ესწრებოდა ს. მ.-ის ერთ-ერთ შრომით დავას, რომელსიც სს „*********“ - ის ინტერესს წარმოადგენდა ადვოკატი ა. ა., ამ სხდომაზე ა. ა.-მ განაცხადა, რომ ს. მ. იქცეოდა არაეთიკურად, რაც იმაში გამოიხატა, რომ ლ. რ.-ის საქმის მასალებიდან საშტატო ნუსხის შესახებ ინფორმაცია ამოიღო და თ. გ.-ის საქმეში გამოიყენა“. მოწმეს აქვს კითხვა - აღნიშნულ საქმეებში წარმოდგენილი საშტატო ნუსხები ერთი და იგივეა თუ არა. მოწმე განმარტავს, რომ მისი აზრით, მის საქმეში არსებული საშტატო ნუსხა თავის საქმეში ვერ წაადგებოდა თ. გ.-ს.

3.4 მოწმის განმარტებით, მას მიღებული საშტატო ნუსხა არავისთვის გადაუცია. მოწმე განმარტავს, რომ მისი საქმის მასალები ადვოკატ ს. მ.-ს არ გადაცემია.

4. ადვოკატის მოწმის, კლიენტის თ. გ.-ის განმარტება:

4.1 2023 წლის 19 ივლისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წერილობითი ფორმით წარმოადგინა მოწმის, თ. გ.-ის განმარტება. მოწმე განმარტავს, რომ მასთან ადვოკატ ს. მ.-ს რეკომენდაცია გაუწია არაერთმა ადამიანმა, რომელიც სს „*********“ - ში“ არ არიან დასაქმებულები

და მან ს. მ. აიყვანა ადვოკატად. განმარტებაში მოწმე უთითებს, რომ ადვოკატი ს. მ. სს „*********“ - ში“ არ მუშაობს 2017 წლის ნოემბრიდან.

4.2 მოწმის ინფორმაციით, სს „*********“ - ის “ მიმართ დავაში, სს-ს წარმომადგენელმა სასამართლოში იშუამდგომლა ს. მ.-ისწარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის შესახებ ეთიკის კომისიის მიერ საკითხის განხილვამდე და ითხოვა ს. მ.-ისმიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება იმ მოტივით, რომ ს. მ. 2017 წლის ნოემბრამდე წარმოადგენდა კომპანიის ინტერესების დამცველს, იგი ფლობდა საიდუმლო ან/და კონფიდენციალურ ინფორმაციას და მიუხედავად „საქმეთა არაერთგვაროვნებისა“, მისი უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის საფუძველი არსებობდა. მოწმის განმარტებით, 07.07.2020 წლის განჩინებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა „*********“-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სწორედ საქმეთა არაერთგვაროვნებისა და ს. მ.-სთვის რაიმე საიდუმლო ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის დადასტურებისა და ინფორმაციის გამჟღავნების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

4.3 მოწმის განმარტებით, არც 07.07.2020 წლის სხდომაზე და არც სხდომაზე წარმოდგენილ 30.06.2020 წლის განცხადებაზე თანდართულ ეთიკის კომისიაში წარდგენილ „*********“-ის 10.03.2020 წლის საჩივარში საერთოდ არაფერი იყო ნახსენები 31.03.2020 წლის მის დაზუსტებულ სარჩელზე თანდართულ არაოფიციალურ ინფორმაციაზე, რომელიც მან მოიპოვა სწორედ *********“-ში.

4.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატ ს. მ.-ს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია კომპანიის 2020 წლის საშტატო განრიგის შესახებ, მით უფრო იმ პირობებში, რომ ის 2017 წლის ნოემბრიდან აღარ მუშაობს კომპანიაში და ადვოკატმა არც კი იცოდა იმ ინფორმაციის შინაარსი, რომელიც მან მოიპოვა 2020 წელს. მოწმე განმარტავს, რომ მას 31.03.2020 წლის დაზუსტებულ სარჩელზე დართული, უშუალოდ *********“-ში მოპოვებული არაოფიციალური ინფორმაცია მატერიალური სახითაც კი არ უჩვენებია ს. მ.-სთვის. სატელეფონო საუბრისას და ისიც არასრულად აცნობა, რომ *********“-ში არსებული წყაროდან მოპოვებული აქვს არაოფიციალური ინფორმაცია, რომელსაც მართალია არ გააჩნია შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, თუმცა სურდა მისი ასახვა დასაზუსტებელ სარჩელში და მასზე დართვა. მის პოზიციაზე ადვოკატმა ს. მ.-მ განუმარტა, რომ მან არ იცოდა რა ინფორმაციაზე ჰქონდა საუბარი და ისეთ პირობებში, როდესაც ინფორმაციას არ აქვს შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტები, იგი არის იურიდიული ძალის არ მქონე და სასამართლომ შესაძლოა არც კი მიიღოს მხედველობაში და მოუწოდა, რომ არ აესახა და არ დაერთო სარჩელისათვის. თუმცა, მიუხედავად ადვოკატის მოწოდებისა, მან პირადად მიიღო გადაწყვეტილება „*********“-ში მოპოვებული ინფორმაციის დაზუსტებულ სარჩელში ასახვისა და მასზე დართვის შესახებ.

4.5 მოწმის განმარტებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფორმაცია, როგორც იურიდიული ძალის არ მქონე, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო. ამასთან, 31.03.2020 წლის დაზუსტებულ სარჩელზე თანდართული სასამართლო ინფორმაციის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა თავად მოპასუხემ, რისი დასტურიცაა, სასამართლოს 07.07.2020 წლის განჩინების საფუძველზე კომპანიისაგან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 31.03.2020 წელს მის მიერ დაზუსტებულ სარჩელზე თანდართული არაოფიციალური ინფორმაცია და სასამართლოს

07.07.2020 წლის განჩინების საფუძველზე კომპანიისაგან გამოთხოვილი ინფორმაცია არ შეესაბამება ერთმანეთს და სასამართლოს მიერ 07.07.2020 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე 04.08.2020 წელს კვლავ დააზუსტა სარჩელი, რომლის საფუძველზეც სასამართლომ მიიღო შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

4.6 მოწმის პოზიციით, სს „*********“-ის ქმედებანი მიმართულია ადვოკატ ს. მ.-ის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ხელშეშლისკენ, რომ ადვოკატმა უარი განაცხადოს მისი ინტერესის დაცვაზე.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2020 წლის 7 ოქტომბერს ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ს. მ.-ის მიმართ.

5.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1, 4.3, 6.1., 6.2.(ა), 6.2(ბ), 6.5 მუხლები).

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 უდავო ფატები:

6.1.1 ადვოკატი ს. მ. 2010 წლის სექტემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე დასაქმებული იყო სს „*********“-ის იურიდიულ სამსახურში, იურისტის პოზიციაზე. ადვოკატის ფუნქციებში შედიოდა კომპანიის წარმომადგენლობა, მათ შორის, წარმომადგენლობა შრომით დავებშიც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

სს „*********“-ის მიერ ადვოკატ ს. მ.-სთვის 2013 წლის 23 ოქტომბერს დაცემული რწმუნებულება;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი.

6.1.2 სს „*********“-ის იურისტის პოზიციიდან გათავისუფლების შემდეგ, ადვოკატი ს. მ. წარმოადგენდა კლიენტთა ინტერესს, ყოფილი დამსაქმებლის - სს „*********“ - ის მიმართ, შრომით დავებში. კონკრეტულად, ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევს სს „*********“-ისთანამშრომლებს - თ. გ.-ს, ლ. რ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი;

მოწმის ლ. რ.-ის განმარტება;

მოწმის თ. გ.-ის წერილობითი პოზიცია;

6.1.3 დავა სადაც ადვოკატი წარმოადგენდა სს „*********“-ის ინტერესს და შრომითი დავა, სადაც ს. მ. ამჟამად წარმოადგენს კლიენტის, თ. გ.-ის ინტერესს (სს „*********“ - ის წინააღმდეგ) სხვადასხვა დავებია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი;

2016 წლის 12 აგვისტოს სს „*********“-ის მიერ წარდგენილი შესაგებელი საქმეზე N--, თ. გ.-ის სარჩელიდან გამომდინარე;

თ. გ.-ის 2019 წლის 26 ივლისის სარჩელი საქმეზე N;

თ. გ.-ის 2019 წლის 12 ნოემბრის; 2020 წლის 04 აგვისტოს და 2020 წლის 30 მარტის დაზუსტებული სარჩელი სამოქალაქო საქმეზე N;

6.2 სადავო ფაქტები:

6.2.1 მხარეთა შორის სადავოა, ფლობდა თუ არა ადვოკატი ს. მ. ყოფილი კლიენტისაგან, სს „*********“ - ისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მან მიიღო 2017 წლამდე, სს *********“ - ში მუშაობის პერიოდში და გამოიყენა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ.

საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი ს. მ. ყოფილი კლიენტისაგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას იყენებს ახალი კლიენტის ინტერესის სასარგებლოდ. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ კლიენტის თ. გ.-ის დავაში სასამართლოში წარადგინა მეორე კლიენტის, ლ. რ.-ის საქმიდან ინფორმაცია - ამონარიდი საშტატო ნუსხიდან 10.03.2020 წლის მდგომარეობით.

კოლეგიის შეფასებით, უდავოა, რომ ადვოკატი ს. მ. წლების განმავლობაში მუშაობდა სს „*********“ - ის “ იურისტის პოზიციაზე, რა დროსაც მის მოვალეობაში შედიოდა სს „*********“-ის წარმომადგენლობა სასამართლოში, მათ შორის, წარმომადგენლობა - შრომით დავებშიც. ადვოკატს ჰქონდა წვდომა კომპანიის იმ დოკუმენტებთან, რაც არეგულირებს კომპანიაში სამართლებრივ საკითხებს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ ინფორმაციაზე წვდომა ადვოკატისათვის კარგი ბერკეტი იყო მარტივად წარმოედგინა ახალი კლიენტების ინტერესები ყოფილი დამსაქმებლის მიმართ. თუმცა, კოლეგია განმარტავს, რომ კომპანიის „შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები“ არ შეიძლება ჩაითვალოს „კონფიდენციალურ ინფორმაციად“, რადგან ეს დოკუმენტები საჯაროა და ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რომელიც ამ დოკუმენტებს გამოითხოვდა. ამ ინფორმაციისგან განსხვავებით, კონფიდენციალურია ინფორმაცია თანამშრომელთა ხელფასებისა და საშტატო განრიგის შესახებ. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო საშტატო ნუსხის სასამართლოში წარდგენა მოხდა თ. გ.-ის მიერ. ადვოკატის პოზიციით, მისმა კლიენტმა თ. გ.-მ აღნიშნული მტკიცებულება მოიპოვა თავად (თავისი პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატმა კომისიას წარმოუდგინა მოწმის - კლიენტის ლ. რ.-ის ახსნა-განმარტება და ასევე კლიენტის - თ. გ.-ის წერილობითი პოზიცია). კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ აღნიშნული საშტატო ნუსხა თარიღდება 2020 წლით, ადვოკატი ს. მ. სს „*********“-ის თანამშრომელი იყო 2017 წლის ნოემბრამდე, შესაბამისად, ადვოკატს 2017 წელს კლიენტისაგან ვერ ექნებოდა აღნიშნული ინფორმაცია მიღებული.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. მ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ს. მ.-ის მიერ დარღვეული არ არის ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება.

8.1.1 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

8.1.2 ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

8.1.3 ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.3).

8.1.4 ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

8.1.5 ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.(ა)).

8.1.6 ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2(ბ)).

8.1.7 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ

ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

8.2 პროფესიული ვალდებულებები ვრცელდება კომპანიის შიდა იურისტებზეც *('In-House lawyer')*, რომლებიც შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას, თუ ისინი არიან გაწევრიანებულები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2). შესაბამისად, ეთიკის კომისია ადვოკატ ს. მ.-ისმიმართ ავრცელებს პროფესიულ რეგულაციებს მის მიერ სს „*********"-ის იურისტად მუშაობის პერიოდზეც.

8.3 „კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართ. ეს ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდება კლიენტის/პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კონფიდენციალობა არის ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანი, რომელიც ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებამდე წარმოეშობა, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება" (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N062/19).

8.4 ადვოკატი ს. მ. წარმოადგენდა სს „*********"-ის, როგორც მოპასუხის ინტერესს შრომით დავაში, სადაც ერთ-ერთი მოსარჩელე იყო მისი ამჟამინდელი კლიენტი თ. გ. (2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N). აღნიშნულ საქმეში თ. გ.-ის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სს „*********" - ის ათვის" თ. გ.-ის პირვანდელი სამუშაო ადგილის სს „*********"-ის კომერციული საქმიანობის სამმართველოს ელექტროენერგიის ენერგოგასაღების დეპარტამენტის „*********" აბონენტთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი - ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის დავალება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თ. გ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სს „*********"-ის 2012 წლის 24 ივლისის Nკ-134 ბრძანება თ. გ.-ის კომერციული საქმიანობის სამმართველოს ელექტროენერგიის ენერგოგასაღების დეპარტამენტის „*********" აბონენტთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. სს „*********"-ს დაევალა თ. გ.-ის უზრუნველყოფა პირვანდელი სამუშაო ადგილის ტოლფასი სამუშაოთი და თ. გ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2012 წლის 25 ივლისიდან 2013 წლის 02 აპრილამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მისი ყოველთვიური ხელფასის 2400 ლარის გათვალისწინებით. სს „*********" - თან" შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა ს. მ.-მ საადვოკატო მომსახურება გაუწია თ. გ.-ს, მის ყოფილ კლიენტთან - სს „*********"-თან შრომით დავაში. აღნიშნულ დავაში თ. გ.-ის მოთხოვნას წარმოადგენდა: ხელფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება; ინდივიდუალური მასტიმულირებელი დანამატის ანაზღაურება; მუშაობის სტაჟისათვის გათვალისწინებული და მასზე გასაცემი თანხის გადახდა ერთი თვის ხელზე ასაღები ხელფასის (ინდივიდუალური მასტიმულირებელი დანამატის გათვალისწინებით) ოდენობით; საიუბილეო ასაკის შესრულებისთვის გათვალისწინებული და მასზე გასაცემი თანხის გადახდა ერთი თვის ასაღები (ინდივიდუალური მასტიმულირებელი დანამატის გათვალიწინებით) ოდენობით; ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება (საქმე N). აღნიშნულ საქმეზე ადვოკატ ს. მ.-ის

წარმომადგენლობით, თ. გ.-ის მიერ რამდენჯერმე დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა. ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის ლ. რ.-ის ინტერესებს მოწინააღმდეგე მხარის სს „*********“-ის მიმართ, შრომით დავაში სადაც დავის საგანია ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (საქმე N ; N).

8.5 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ს. მ.-ს არ გამოუყენებია კლიენტისაგან სს „*********“-გან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ახალი კლიენტების ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, რადგან არ დადგინდა, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ გამოიყენა ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია ახალი კლიენტის საქმეში ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, ადვოკატს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება.

8.6 კოლეგია განმარტავს, იმ პრეტენზიის ნაწილში, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ კლიენტის - ლ. რ.-ს საქმიდან დოკუმენტი - ინფორმაცია თანამშრომელთა საშტატო ნუსხის შესახებ გამოიყენა მეორე კლიენტის, თ. გ.-ის საქმეში, სს „*********““ არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

8.7 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე, ადვოკატ ს. მ.-ს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.1.(ა) მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1, 4.3, 6.1, 6.2.(ა), 6.2.(ბ), 6.5 მუხლები).

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 16, 17, 33, 35 მუხლებით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე № ადვოკატ ს. მ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/